კონტრაქტი 03-12

3 დეკემბერი, 2010 წ.

შპს მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი, შემდგომში "გამყიდველი", მისი დირექტორის, გიორგი ნიკოლაიშვილის სახით, ერთის მხრივ და *შპს აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა*, შემდგომში „მყიდველი", მისი დირექტორის, ნიკოლოზ ყიფშიძის სახით მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე კონტრაქტს შემდეგზე:

1. კონტრაქტის საგანი

1.1 გამყიდველი ყიდის, ხოლო მყიდველი ყიდულობს კომპანია მედტრონიკის წარმოების ერთ ცალ ერთკამერიან დეფიბრილატორს MAXIMO VR.

2. კონტრაქტის საერთო ღირებულება

2.1 კონტრაქტის ღირებულება შეადგენს 8400.00 (რვა ათას ოთხაი) აშშ დოლარს.

3. გადახდის პირობები

3.1 საკონტრაქტო ღირებულების გადახდა მოხდება შემდეგი გრაფიკით:

3.1.1 2520.00 (ორი ათას ხუთასოცი) აშშ დოლარი ავანსად, წინამდებარე კონტრაქტის ხელმოწერიდან 3 (სამ) საბანკო დღეში;

3.1.2 5880.00 (ხუთი ათას რვაასოთხმოცი) აშშ დოლარი, მიწოდებიდან ორი თვის ვადაში;

3.2 ანაზღაურება ხორციელდება უნაღდო წესით, გადახდის დღის ს.ე.ბ. ოფიციალური გაცვლითი კურსით.

4. მიწოდების პირობები

4.1 მიწოდება უნდა განხორციელდეს 3.1.1 პუნქტში აღნიშნული ავანსის გადახდიდან ათი დღის ვადაში.

4.2 გამყიდველი პასუხისმგებელია მიწოდებული საქონლის ხარისხზე.

5. საჯარიმო სანქციები.

5.1 კონტრაქტით გათვალისწინებული ვადების დაგვიანების შემთხვევაში დამრღვევი მხარე მეორე მხარეს უხდის საკონტრაქტო ღირებულების 0.1%-ს ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის, მაგრამ ამ წესით დათვლილი ჯარიმის საერთო თანხამ არ უნდა გადააჭარბოს საკონტრაქტო ღირებულების 10%-ს.

5.2 თუ რომელიმე მხარემ ნაკისრ ვალდებულებათა ვადას გადააცილა ორი თვით, მაშინ მეორე მხარეს უფლება აქვს გააუქმოს კონტრაქტი. ამ შემთხვევაში ვადის დამრღვევი მხარე აბრუნებს მეორე მხარისაგან მიღებულ აქტივებს სრული მოცულობით და დამატებით იხდის ჯარიმას კონტრაქტის ღირებულების 10%-ის ოდენობით.

6. ფორსმაჟორი

6.1 არცერთი მხარე არ აგებს პასუხს კონტრაქტით გათვალისწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნახევრად შეუსრულებლობისათვის, თუ ეს შეუსრულებლობა მოხდა ისეთი გარემოებების გამო, როგორიცაა სტიქიური უბედურებები, იმპორტის აკრძალვა ან სამხედრო ოპერაციების ჩატარება, ან სხვა, მხარეებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო. ვალდებულებათა განხორციელების ვადის გადაწევა ხდება იმ დროის შესაბამისად, რომლის განმავლობაშიც ვლინდება ასეთი გარემოებები და მათი შედეგები. თუ ეს გარემოებები და მათი შედეგები გაგრძელდა სამ თვეზე მეტხანს, მაშინ თითოეულ მხარეს ექნება უფლება უარი თქვას

გამყიდველი _____ გ. ნიკოლაიშვილი

მყიდველი _____ ნ. ყიფშიძე

კონტრაქტით გათვალისწინებულ მოვალეობათა შესრულებაზე და ამ შემთხვევაში არც ერთ მხარეს არ ექნება უფლება მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. ფორსმაჟორული გარემოებების გამო კონტრაქტის შეწყვეტის შემთხვევაში გამყიდველი ხუთი საბანკო დღის განმავლობაში უბრუნებს მყიდველს ავანსის სახით გადახდილ თანხას. ის მხარე, რომლისათვისაც შეიქმნა მოვალეობათა შესრულების შეუძლებლობა, დაუყონებლივ, არა უმეტეს ამ პრობლემათა დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ატყობინებს მეორე მხარეს შესაძლებელი გაგრძელების დროის დადგომისა და ზემოთმოყვანილი ხელის შემშლელი გარემოებების შეწყვეტის შესახებ.

7. დავების გადაწყვეტა

7.1 ყველა დავა და უთანხმოება, რომელიც შეიძლება წარმოიშვას არსებულ კონტრაქტთან დაკავშირებით, შეიძლება გადაიჭრას მხარეთა შორის ურთიერთმოლაპარაკების გზით. თუ არ მოხერხდება რაიმე საკითხზე შეთანხმება, ასეთ შემთხვევაში დავის გადაწყვეტა მოხდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

8. დანარჩენი პირობები

8.1 არსებულ კონტრაქტთან დაკავშირებული ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია ორივე მხარის მიერ;

8.2 არსებული კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, ყველა წინა მოლაპარაკება კონტრაქტის საგანთან დაკავშირებით ითვლება ძალადაკარგულად;

8.3 არსებული კონტრაქტი შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე და თითოეულ მხარესთან ინახება თითო ეგზემპლარი.

9. კონტრაქტის მოქმედების ვადა

9.1 არსებული კონტრაქტი ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრ ვალებულებათა სრულ შესრულებამდე.

10. მხარეთა იურიდიული მისამართები

გამყიდველი: შპს „მოწინავე სამედიცინო ტექნოლოგიები და სერვისი," თბილისი, საბურთალოს 7 ბ.13, ტელ:822 53 20 32/36

საიდენტიფიკაციო კოდი: 202 059 725

გამყიდველის საბანკო რეკვიზიტები: სს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალი, კოდი 220101502, ანგარიშსწორების ანგარიში 119160100.

მყიდველი: შპს "აკად. ნ. ყიფშიძის სახელობის ცენტრალური საუნივერსიტეტო კლინიკა", თბილისი. ვაჟა-ფშაველას 29.

საიდენტიფიკაციო კოდი: 205 165 453

გამყიდველი _____ გ. ნიკოლაიშვილი

მყიდველი _____ ნ. ყიფშიძე